ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2773455

ნომერი: AR1429689

თარიღი : 05.08.2016

გაცემის თარიღი : 11.08.2016

გაცნობის თარიღი : 13.08.2016

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ხიზაბავრი , N 47 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ემზარი მელიქიძე პ/ნ 35001035559
- თბილისი ზაჰესი თავისუფლების ქ. N 23

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პანდუსის მოწყობა რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

სამსახურს წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით პანდუსის მოწყობა არ მიაჩნია შესაძლებლად. მისი მოწყობა შესაძლებელია განხორციელდეს არსებულ შენობასთან და მის წინ მდებარე კეთილმოწყობასთან მაქსიმალურად მისადაგებული სახით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აიტვირთოს განახლებული ფოტომონტაჟი (ყველა გაბარიტული ზომის მითითებით), და საპროექტო პანდუსის ნახაზები (გეგმა; ჭრილი), სადაც ასევე გათვალისწინებული იქნება შემდეგი:

–როცა პანდუსის სიგრძე 8მ–ზე მეტია, მაშინ უნდა მოეწყოს ბაქანი ყოველი 6 მეტრის შემდეგ, სიგრძით 1.50მ.

–პანდუსის სიგანე, ერთმხრივი გადაადგილებისსა უნდა იყოს არაუმცირეს 0.90მ, ორმხრივი მოძრაობისას – არაუმცირეს 1.80მ. ფეხით მოსიარულესა და ეტლის მოსარგებლის გვერდით ავლის შესაძლებლობისას პანდუსის მინიმალური სიგანე უნდა იყოს 1.50მ.

–მოაჯირის სიმაღლე უნდა იყოს 0.90მ, შედგენილი გრძივი ღეროებისგან 0.50მ–ის და 0.70მ–ის სიმაღლეზე.

გარდა ამისა:

- "განსაზღვრეთ განაცხადის მდებარეობა რუკაზე" ველში – საკადასტრო ერთეულის დამატებაში, საკადასტრო კოდში მიეთითოს სარეკონსტრუქციო ფართის მთლიანი საკადასტრო კოდი, წილობრივი მონაცემებით ან „ფაილის მიმაგრების“ ველში აიტვირთოს ფართის კუთვნილების დამადასტურებელი საბუთი – ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- ვინაიდან განცხადების შევსებისას არ იქნა მოწოდებული ინფორმაცია საპროექტო ფართის საკადასტრო კოდის წილობრივ მონაცემების შესახებ, გაურკვეველია საპროექტო ფართის მესაკუთრის ვინაობა. გამომდინარე აქედან გაცნობებთ, რომ არქიტექტურის სამსახურს განცხადებით უნდა მომართოს საპროექტო ფართის მესაკუთრემ, მოსარგებლემ ან მათმა მინდობილმა პირმა (მინდონილობა ატვირთული უნდა იყოს წარმომადგენლის მინდობილობა/რწმუნებულების ველში).
- „ფაილის მიმაგრება“-ს ველში ატვირთულ მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმაზე ზუსტი კონტურის სახით იქნას დატანილი საპროექტო პანდუსი. გაითვალისწინეთ, რომ თუ საპროექტო სამუშაოები ხორციელდება ტერიტორიაზე გამავალი N 01.01.755 მილსადენის არეალში, ასეთ შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული თანხმობა.
- ვინაიდან პანდუსის მოწყობა ხორციელდება თანასაკუთრების მიწის ნაკვეთის საკაადსტრო საზღვრებში, დამატებით საჭიროა წარმოადგინოთ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრების ოქმი, ჩასატარებელ სამუშაოებთან დაკავშირებით (კრების დამსწრე წევრების რაოდენობის მითითებით). `ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ" საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა 2/3 (67%) და ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოებს მხარი დაუჭირა დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტმა. შესაბამისად წარმოსადგენია ოქმი, რომლის თანახმად კრების დამსწრე წევრები შეადგენენ ამხანაგობის წევრთა 2/3 და ჩასატარებელ სამშენებლო სამუშაოებს მხარს უჭერს დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.
- იმის გათვალისწინებით, რომ საპროექტო სამუშაოები უშუალო შეხებაში მოდის არდაფის ფართის ფასადთან, დამატებით წარმოდგენილ უნდა იქნას აღნიშნული ფართის საჯარო რეესტრის ამონაწერი და შესაბამისი მესაკუთრის თანხმობა, წარმოდგენილი ფოტომონტაჟის მიხედვით პანდუსის მოწყობასთან დაკავშირებით.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი. თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.